პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 16 იანვარი 1926 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი ...

(1005) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გულმოდგინეთ ემზადე გახდე საუკეთესო უმცროსი მეთაური.

ლეგიონის სკოლების კურსანტებით შევსება უკვე დამთავრდა და ისინი შეუდგენ მეცადინეობის წარმოებას. სკოლები აძლევენ წითელ ჯარს უმცროს მეთაურებს. უმცროსი მეთაური უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს წითელ ჯარში. კარგი უმცროსი მეთაური— კარგი, დისციპლინიანი ნაწილის ნიშანია. უმცროსი მეთაური პირველი აღმზრდელია წითელი მეომრის. წითელ არმიის სამხედრო და პოლიტიკური აღზრდა—ეს კი ყველაფერია წითელ არმიისათვის; ამისაგან არის დამოკიდებული მისი სიძლიერე და სიმტკიცე. ყველივე ეს ერთ წუთს არ უნდა დაივიწყონ ჩვენი ლეგიონის სკოლების კურსანტებმა. სკოლაში ყოფნის მთელი დრო მათ რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით უნდა გამოიყენონ სამხედრო და პოლიტიკური მომზადებაში.

მათ აქედანვე უნდა შეეჩვიონ სასტიკ დისციპლინიანობას, ყურადღებას, სიფხიზლეს და გამძლეობას. უმცროსი მეთაური არა მარტო კარგი მასწავლებელი და აღმზრდელი უნდა იყოს წითელარმიელის, არამედ ერთვე სა[illegible]ესო მაგალითიც მისთვის.

თავის უმცროს მეთაურში წითელარმიელი უნდა ხედავდეს დისციპლინიანობის, შეგნებულობის, მშრომელი ხალხისათვის თავდადების და ერთგულობის საუკეთესო მაგალითს. აი როგორი უნდა იყოს ყოველი უმცროსი მეთაური. ლეგიონის სკოლები სრულ შესაძლებლობას აძლევენ კურსანტებს გახდენ ასეთი მეთაურები. მხოლოდ საჭიროა თვით კურსანტებისაგან რაც შეიძლება მეტი ენერგიის და მუყაითობის გამოჩენა. არცერთი წუთი ტყუილა უბრალოდ არ უნდა იქნას გაცდენილი, მთელი დრო უნდა მოხმარდეს სამხედრო საქმის შესწავლას და პოლიტიკურ მომზადებას.

თანამედროვე საომარი ტაქტიკა მეტად დიდ და რთულ ამოცანებს უყენებს უმცროს მეთაურს. ის სავსებით მომზადებული უნდა იყოს ამისთვის. ამიტომაც ლეგიონის სკოლების კურსანტებმა განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სამხედრო საქმის საფუძვლიანად შესწავლას. ის უმცროსი მეთაური, რომელიც სუსტად გრძნობს თავს სამხედრო საქმეში, ზიანის მეტს არაფერს არ მოუტანს წითელ ჯარს.

უმცროს მეთაურმა ჩინებულად უნდა იცოდეს სამხედრო საქმე, ის კარგად უნდა იყოს მომზადებული პოლიტიკურადაც. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ წლევანდელი შევსება ლეგიონის სკოლებისა დაუღალავი, გულმოდგინე სწავლით და მეცადინეობით სწორედ ასეთი სამაგალითო უმცროსი მეთაურები გამოვლენ.

## კლასობრივი ბრძოლა კვლავ მწვავდება გერმანიაში.

ბევრი დაიწერა და ითქვა ბურჟუაზიულ და სოც.-შეთანხმებლების გაზეთებში იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმმა, თითქოს გადალახა ომის შემდეგ აღმოცენებული კრიზისი და აღადგინა თავისი ძალებით. მაგრამ ყოველდღე რადიოს მოაქვს ცნობები, რომლებიც სრულიად აბათილებენ ამ დებულებას. მართალია კაპიტალიზმმა შესძლო ნაწილობრივ განმტკიცება, მაგრამ ეს განმტკიცება, როგორც ჩვენ კომუნისტები ვლაპარაკობდით იმ თავითვე, ხდება მუშათა კლასის სასტიკი გაყვლეფისა და გაღატაკების ხარჯზე. ავიღოთ ასეთი საკითხი როგორიც არის უმუშევრობა. დღეს თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში არაჩვეულებრივად იზრდება უმუშევრობა. განსაკუთრებით ამ მხრივ ღირსშესანიშნავია გერმანია, რომელშიდაც დღეს ოთხი მილიონი უმუშევარია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაუესის გეგმის თანახმად გერმანეთის წელგაწყვეტილ კაპიტალიზმს მიეშველა ამერიკის დოლარები (ამერიკული ფული), ლაპარაკობდენ, რომ გერმანიის მრეწველობის საქმე გამოკეთდა დიდი ხნითო. მაგრამ აქაც მოსტყუვდენ ბურჟუაზიული და მენშევიკური მწერლები. დაუესის გეგმამ დღეს გერმანიის მრეწველობა და მთელი მისი სახალხო მეურნეობა საშინელი კრიზისის კარამდე მიიყვანა. გერმანიის მრეწველობის ჯერ კიდევ ფართედ არ გაუშლია ფრთები, რომ ის იძულებული ხდება გადაუხადოს პროცენტები ამერიკას სესხისათვის. ამასთანავე გერმანიის საქონელი ვერ პოულობს საკმაო ბაზარს გასასაღებლად. შიგნით კი ბაზარი გერმანიას ძლიერ შეუვიწროვდა იმიტომ, რომ მოსახლეობის ფართო ფენებმა დაკარგეს ყიდვითი უნარი. იმ სახელმწიფოს, რომელსაც ოთხი მილიონი უმუშევარი ყავს დღეს, ხოლო ხვალ და ზეგ უფრო მეტი ეყოლება, სადაც წარმოება მცირდება, იხურება ბევრი ფაბრიკები, კოტრდება ვებერთელა წარმოებები, როგორ შეგვიძლია ვუწოდოთ პოლიტიკურად და ეკონომიურად განმტკიცებული? არავითარ შემთხვევაში.

უმუშევრობის ზრდის ნიადაგზე იზრდება მუშათა მოძრაობა გერმანიაში. ოთხ მილიონ უმუშევრებიდან, მხოლოდ მილიონ ნახევარი იღებს დახმარებას. კომუნისტები მოითხოვენ, რათა ყოველ უმუშევარს მიეცეს დახმარება და ეს უკანასკნელი გადიდებულ იქნას 50 პროცენტით. სოციალ-დემოკრატები პირველად წინაამდეგი წავიდენ ამ მოთხოვნილებისა, მაგრამ, როცა მთელ გერმანიაში მოხდა მუშათა დემონსტრაციები კომუნისტების წინადადების სასარგებლოთ მენშევიკები იძულებული გახდენ წასულიყვნენ დათმობაზე.

ამრიგად გერმანიაში კვლავ იქმნება ხელსაყრელი პირობები კლასობრივი ბრძოლის გასამწვავებლად. ბურჟუაზია ემზადება ამ ბრძოლისათვის. გერმანიის პროლეტარიატის წინაშეც სდგას ამოცანა ღირსეულად შეხვდეს თავის საუკუნოებრივ მტერს. ამას ის შესძლებს მაშინ თუ სავსებით და მთლიანად გამოიყენებს წარსულის გაკვეთილებს. ეს წარსული გამოცდილება კი ამბობს, რომ გერმანიის მუშათა კლასის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

—ბ.

# ახალი რადიო-ამბები

## პროტესტი იაპონიის ბატონობის წინაამდეგ მანჯურიაში.

**მოითხოვენ დუან-ცზი-ჩუის გადაყენებას და სახალხო მთავრობის შედგენას.**

პეკინში გაიმართა მიტინგი იაპონიის ძალმომრეობის წინაამდეგ მანჯურიაში. მიტინგზე მონაწილეობდა 10.000 კაცი. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ პეკინის მმართველის დუან-ცზი-ჩუის გადადგომას, სახალხო მთავრობის შედგენას და ზოგიერთი მოხელეების დაპატიმრებას. მიტინგისა და შემდეგ ქუჩაში მოძრაობის დროს მიტინგის მონაწილენი გარშემორტყმული იყვენ ჯარებითა და პოლიციით. საელჩოების გარშემო იდგა ჯარები და აღმართული იყო ბარიკადები.

დემონსტრანტებმა წარუდგინეს ეს მოთხოვნილება პეკინის გუბერნატორს და განუცხადეს, რომ, თუ დუან-ცზი-ჩუი თავისით არ გადადგება, ხალხი ძალით გადააყენებს მასო.

## პოლონეთის ყორნები ირაზმებიან.

პოზნანში (პოლონეთში) დასრულდა პოლონეთის მონარქისტულ (მეფის მომხრეთა) ორგანიზაციების მთავარ საბჭოს ყრილობა, რომელზედაც მიღებულ იქნა პოლონეთის მონარქისტთა გაერთიანების წესდება.

ყრილობამ დაადგინა გააძლიერონ პროპაგანდა პოლონეთის აღმოსავლეთ განაპირა ადგილებში.

## კამათი სმიტსა და ვილიამს შორის.

**ხელფასი მუშებს უნდა შეუმცირდეს ჩვენ კი არა.**

ინგლისის ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამომკვლევ კომისიაში საინტერესო კამათი გაიმართა მთა მადნის მუშათა კავშირის წარმომადგენლის სმიტსა და მადაროების მესაკუთრეთა კავშირის წარმომადგენლის—ვილიამსს შორის.

აღნიშნა რა, რომ ვილიამსი ნახშირის საზოგადოების ხელმძღვანელია, სმიტი შეეკითხა მას, თუ, რამდენ ჯამაგირს ღებულობს ის. ვილიამსმა არაფერი უპასუხა. სმიტმა განაცხადა: „თქვენ და თქვენისთანები მოითხოვენ, რათა მუშები დათანხმდენ ხელფასის დაკლებასა და სამუშაო დღის გადიდებას, იმ დროს, როცა თქვენ ცხოვრობთ ფუფუნებაში, გიჭირავთ ასეთი თანამდებობის ადგილები და არაფერს არ აკეთებთ. ფიქრობთ თუ არა თქვენი თავის ჯამაგირის შემცირებას? ვილიამსმა სწრაფად უპასუხა: „არა“.

შემდეგ შეკითხვებზე ვილიამსმა განაცხადა, რომ ნახშირის მრეწველობის ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ სხვა და სხვა დარგის მუშებს შორის არ იქნება შეთანაბრებული სამუშაო ხელფასი.

## კამპანია ინგლისელ კომუნისტების ციხიდან განთავისუფლებისათვის.

ინგლისის პროფმოძრაობის მეთაურები მიმართავენ ინგლისის მუშებს მიიღონ ზომები, რათა განთავისუფლებულ იქნან ციხეებიდან უკანასკნელ დროს დაპატიმრებული კომუნისტები და უელსის მთამადნის მუშები.

ამასთან დაკავშირებით იმართება მუშათა საჯარო კრებები, რომლებზედაც მოითხოვენ პატიმრების განთავისუფლებას.

# საბჭოთა კავშირში

## არმიის მომარაგება ხორბლის ფქვილით.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომარაგების უფროსის ბრძანებით წითელ არმიაში შემოღებულ იქნება ნაწილების მომარაგება ხორბლის ფქვილით. ჭვავი მიეცემათ მცირე რაოდენობით.

ამ ღონისძიების შედეგად თურქესტანის ფრონტის, კ. წ. დ. არმიის, უკრაინის სამხ. ოლქისა და ჩრდ. კავკ. ოლქის ჯარები გადადიან სრულებით ხორბლის პურით მომარაგებაზე. ვოლგას განაპირა და ციმბირის სამხ. ოლქების ჯარებს მიეცემათ ხორბლისი ფქვილი 50%, დანარჩენი სამხედრო ოლქები მიიღებენ ხორბლის პურს კვირაში ორხელ.

## პოლონეთის სეიმის დელეგაცია მოსკოვში.

**ვინც სახელმწიფოს შრომაზე აგებს, ის აგებს მას მტკიცე საფუძვლებზე.**

პოლონეთის სეიმის დელეგაციის თავმჯდომარემ ბრილმა განაცხადა: ჩიჩერინის პოლონეთში მოსვლამ სასიხარულო გამოძახილი ჰპოვა პოლონეთის ფართე საზოგადოებაში.

ჩვენ, რომლებიც ვიცნობდით მეფის რუსეთს, გაკვირვებული ვართ თქვენი მიღწევებით აღმშენებლობის საქმეში.

ის, ვინც აგებს სახელმწიფოს შრომაზე, ვინც ხალხს ასწავლის ფიქრსა და მუშაობას, ის აგებს სახელმწიფოს მტკიცე, შეურყევ საფუძვლებზე“.

## ბრომლეის მოწვევა საბჭოთა კავშირში.

რკინის გზის პროფკავშირებმა მიმართეს ინგლისის ორთქლმავალთა მემანქანეების კავშირის მდივანს ბრომლეის ინახულოს საბჭოთა კავშირი. პროფკავშირები სთხოვენ აგრეთვე—ინგლისის ზემოხსენებულ კავშირს გამოგზავნოს წარმომადგენლები რკინისგზელთა საკავშირო ყრილობაზე.

# ჩვენი დრამწრეები

კლუბებთან არსებული დრამწრეები იმყოფებიან ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ვერ ასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებისთვისაც ისინი არიან მოწოდებულნი.

დრამწრის ხელმძღვანელნი თავს იმით იმართლებენ, რომ არ არსებობს არავითარი რეპერტუარი წითელ-არმიელთა კლუბებისათვის და იძულებულნი არიან დასდგან სხვა და სხვა შაბლონიურ ხასიათის პიესები. მაგრამ თუ ჩაუკვირდებით საკითხს, საქმე არც ისე ცუდათ არის რეპერტუარის მხრივ, როგორც წარმოუდგენია დრამწრეების მესვეურთ.

საჭიროა მხოლოდ მეტი უნარიანობის გამოჩენა, სიყვარული საქმისადმი, კარგათ გარკვევა დრამწრის ამოცანებში, წითელი ჯარის სინამდვილეში და ყოველივე დაბრკოლება დაძლეულ იქნება.

დრამწრის საშვალებით ჩვენ უნდა გავაღვიძოთ წითელ არმიელში აქტივობა და თვითმოქმედების უნარიანობა. დრამწრის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ის უამრავი ნაკლი, რომელიც თან სდევს ყველა ჩვენგანს. დრამწრის საშუალებით ჩვენ უნდა შევაჩვიოთ წითელ არმიელი კულტმუშაობას, რომ სახლში დაბრუნებისას მან შეიტანოს სოფლად და ქარხანაში ახალი რამ.

აი ეს ამოცანები დრამწრეების ავიწყდებათ მათ ხელმძღვანელებს და არ უწევენ მათ არავითარ ანგარიშს. გარეშე ამ ამოცანების წარმოუდგენელია დრამწრის არსებობა ყაზარმაში.

გაზეთის საშვალებით ძნელია გაშუქება და ნათელყოფა ყველა იმ გზის, რომლითაც უნდა იარონ დრამწრეებმა, მხოლოდ კონკრეტიულად აღვნიშნავ უმთავრესს: მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული წითელ არმიელთა კულტურულად აღზრდისაკენ. ამ მხრივ დრამწრეებმა უნდა ფართოდ გამოიყენონ წითელ არმიელთა ცხოვრება ყაზარმაში და მის გარედ და ინსცენიროვკების სახით ებრძოლონ არანორმალურ მოვლენებს.

მასალები ინსცენიროვკებისათვის და პატარ-პატარა სცენებისთვის ბლომად არის ჩვენ სინამდვილეში.

შემდეგ, უნდა შემოღებულ იქნეს აუცილებლივ ცოცხალი გაზეთი, რომელიც სამწუხაროდ უყურადღებოთ არის მიტოვებული დრამწრეების მიერ. ცოცხალი გაზეთი — ინსცენიროვკა მუშათა კლუბებში დიდ სამსახურს უწევს აღზრდის საქმეს და ჩვენი დრამწრეების ხელმძღვანელნი, თუმცა მათ კარგათ იციან ეს გარემოება, მაგრამ არ დაინტერესებულან და არ უცდიათ მისი გამოყენება. დროა დავტოვოთ ძველი, შაბლონიური გზა, ვეძიოთ ახალი ფორმები. დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ამ ნაკლის გამოსწორებით ჩვენ გავაჯანსაღებთ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ დრამწრეებს.

ე. ხუციშვილი.

# ამოცანა № 7 ახსნა.

წითელ არმიელი იქცევა შემდეგ ნაირად; ის გააცნობს მამასახლისს ათეულის უფროსის დავალებას და თუ რომ მამასახლისი მეორეხელ მოსთხოვს, წითელ არმიელი ვალდებულია აასრულოს მამასახლისის განკარგულება“ პირველი დავალების შემდეგში პასუხ სმგებელი იქნება მამასახლისი.

ამოცანა სწორად ახსნა წითელ არმიელებმა ქ. ურუშაძემ, დ. ნიკოლაიშვილმა და ქ. მინდიაშვილმა.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი საქმიანობიდან

### 4-ხე ლეგ. სკოლა.

4 იანვარს შესდგა სკოლის პარტ დამხმარე ჯგუფისა და გორის პროფ-ბიუროს ახკომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება 1905 წლის რევოლიუციის შესახებ და შემდეგ არჩეული იქნა დელეგატები ახკომკავშირის სამაზრო კონფერენციისთვის. კრება ჩატარდა დიდი სიცხოველით. კრების შემდეგ მოწყობილი იქნა კლუბში თვითმოქმედების საღამო. სასურველია ხშირად მოეწყობოდეს ასეთი გაერთიანებული კრებები.

8 იანვარს მოწვეული იქნა აგრეთვე სკოლის კომუჯრედის სხდომა. მოსმენილი იქნა უჯრედის მდივნის მოხსენება — მუშაობის ანგარიში ერთი თვის განმავლობაში და გაირჩა იანვრის თვის სამუშაო გეგმა. გაკეთებული იქნა მოხსენება აგრეთვე რემედასზე და არჩეული იქნა რემედასის საორგანიზაციო ბიურო.

სამხედრო შურდული.

### მეთაურთა სკოლის უმწყობრო და სამწყობრო გუნდები.

ერთი თვე იქნება, რაც დაარსდა წითელ-არმიელთა კომკავშირის უჯრედი, რომელიც საკმაო აქტიობას იჩენს, ნიშნავს მოხსენებებს და საუბრებს საკუთარი ძალებით.

შაბათს 9 იანვარს სკოლის კომკავშირის ყველა უჯრედებში შესდგა მორიგი კრება. ასეთი კრება შესდგა სკოლის წითელ არმიელთა უჯრედშიც. განიხილეს რამოდენიმე საორგანიზაციო საკითხები და კავშირში შესვლის მსურველ ამხანაგების განცხადებები.

სკოლაში ბევრია მომზადებული კომკავშირლები, რომლებიც სათანადო დახმარებას გაუწევდენ წითელ არმიელების უჯრედს, მაგრამ სამწუხაროდ ისინი ნაკლებად ესწრებიან მის კრებებს. ასევე მოხდა 9 იანვარსაც. კრებას არ დასწრებია ამ დღეს არც პოლიტხელი და არც სხვა ვინმე.

საჭიროა დაჩქარდეს დაგროვილ საკითხების განხილვა, დაგროვილ სარედაქციო მასალების გამოშვება და სხვა.

წითელ არმიელთა აქტივს სულ მუდამ გვერდში უნდა ვუდგეთ. ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენგან.

სამხედრო სოსო ვანანი.

### 1-ლი ლეგიონის 5-თე ასეული.

8 იანვარს მოწვეული იქნა 5-თე ასეულის ყველა პარტ-ამხანაგების და ახკომკავშირელებისა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრნენ დაინტერესებული უპარტიო წითელ არმიელებიც. გაკეთებული იქნა მოხსენება საქ. კომპარტიის მეოთხე ყრილობის შესახებ. ამხანაგმა მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მუშაობა და ამასთანავე განმარტა მეოთხე ყრილობის ყველა დადგენილებები. ამხანაგებმა მრავალი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს.

კრების შემადგენლობის მიერ მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყოველმხრივად შეუწყობენ ხელს ყრილობის ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში სისწორით გატარებას. კრება დასრულდა ინტერნაციონალით.

წ. არმ. დავითი.

# სამხედრო საქმე.

## ცხენოსანი ძმაა ქვეითის.

**რაში მდგომარეობს ცხენოსანი ნაწილის ძლიერება**

ოდესღაც, შორეულ წარსულში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ხმარებაში ცეცხლმტყორცნი იარაღები, — ბრძოლის ბედს წყვეტდა ცივი იარაღი. ამ დროს ცხენოსანი ნაწილი წარმოადგენდა მთავარ ძალას, ვინაიდან მას შეეძლო მტრის შემუსვრა ცივი იარაღით. ის თავს დაესხმოდა მტერს, ავიწროვებდა და სჩეხდა მას. როცა ხმარებაში შემოღებულ იქნა ცეცხლმტყორცნი იარაღი, როცა გაუმჯობესებულ იქნა თოფი და ზარბაზანი — ცეცხლმტყორცნი იარაღმა თანდათან ძნელი გახადა ცხენოსნების მოქმედება. ამიტომ ცხენოსანმა თავისი პირველობა ქვეითს დაუთმო. ცხენოსანი გახდა ქვეითის თანაშემწე და დამხმარე, მაგრამ ისეთი დამხმარე, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად გადაეჭრა საბრძოლო ამოცანა, ხშირად ისეთი, რომლის გადაჭრა ქვეითს არ შეეძლო. მაგრამ რაც არ გაუმჯობესდა ცეცხლმტყორცნი იარაღი შემდეგში, — ცხენოსანმა მაინც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. სამოქალაქო ომის გამოცდილებამ ჩვენ დაგვანახა, რომ ცხენოსანი აწარმოებდა სასტიკ ბრძოლებს, როგორც ცხენოსან, ისე ქვეით წყობილებაში; როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაშიაც ის ისეთ ლახვარს სცემდა მტერს, რომ საბოლოოდ ამარცხებდა მას.

ეხლა ვიკითხოთ: რაში გამოიხატება ცხენოსნის ძლიერება?

სისწრაფე მოძრაობაში, მოულოდნელი თავდასხმა, მარჯვე ცეცხლი და ხმლის დენილი ხმარება — აი რა … ათებს ცხენოსანს, აი … მდგომარეობს მისი ძლიე…

ვსთქვათ, ჩვენ გვინდა … ქაროდ დავეკაროთ მოშორ… ლი, მაგრამ ჩ… ვის … მნ… ლოვანი წერტი, შემოუ… მტერს ფრთაზე ან ზურ… ავყაროთ რკინისგზის ლი… გი, გავაფუჭოთ ტელეგ… საწყობები და სხვა; ყველ… რი ამის გაკეთება შეუ… მხოლოდ ცხენოსანს. ვსთ… ჩვენ შევძელით მტრის ფ… გარღვევა, ის უკან იხევს. … ითა ჯარისთვის ძნელია … ულ მტერზე დადევნება. … დიდ როლს თამაშობს ცხ… სანი: მას შეუძლია კვა… კვალ მისდიოს მტერს, … ღვიოს მისი რიგები არ მ… მას საშუალება შემობრუნ…

ცხენოსანი ნაწილის მ… მის მაგალითისთვის შეიძ… მოვიყვანოთ შემდეგი: 19… ზაფხულზე პოლონეთის ა… დაიკავა კიევი, გადმოვიდა … ნაპირ დნეპრზე და დაამა… ჩვენი მე-12 არმია. შ… მეტად სერიოზული მდგ… რეობა: პოლონელებმა … ის მთელი უკრაინა ხელშ… იგდეს მაგრამ ამ დროს კ… ნჩუკისა და უმანის რაიონ… დაიწყო შეკრება ამხ. ბუ… ნის წითელ ცხენოსნებმა, … უტიეს მტრის მარჯვენა ფ… სა და ზურგს და უკუაქ… მტერი. კიდევ მეტი მაგ… თის მოყვანა შეიძლება, … ლებიც ამტკიცებენ, რომ … ნოსან ნაწილებმა სისწრ… და მოულოდნელობის ს… ლებით დიდი ბრძოლები … იგეს.

ი.

# დაიცავი დისციპლინა.

**ძლიერი არმია მტრისთვის ლახვარია.**

ბურჟუაზიას ძლიერ ეშინია წითელი არმიის. ბურჟუაზია წითელ არმიაში ხედავს ყველა ჩაგრულთა დამცველსა და მისთვის უსაშინელეს მტერს. ამიტომ ბურჟუა ერთის წუთითაც კი არ ისვენებს და თვალყურს ადევნებს წითელი არმიის მეომრების ცხოვრებას. ის უთვალთვალებს მას სწავლის დროს, სცდილობს გაიგოს, თუ როგორ მეცადინეობენ ისინი, როგორ ისვრიან, როგორ უჭირავთ თავი ყაზარმაში, ქუჩაში, თეატრში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ასეთი თვალთვალისა და დაკვირვების საშუალებით ბურჟუაზიას გამოაქვს დასკვნა, თუ რამდენად ძლიერია წითელი არმია.

როცა ჩაუფიქრდები და გაერკვევი ამ საკითხში, აშკარა შეიქნება, თუ რატომ სჩადის ბურჟუაზია ყოველივე ამას. ცხადია, მებრძოლის ამათუიმ საქციელის მიხედვით შეიძლება გამოიტანო ერთგვარი შეხედულება მის მომზადებისა და განვითარებაზე.

ავიღოთ მაგალითი: ქუჩაში მიდის სამხედრო მსახური. მას აცვია დაჭმუჭნილი, ჭუჭყიანი, გახსნილი, უღილო, ხოლო ხშირად უქამრო შინელი; თავზე ახურავს გვერდით მობრუნებული, უვარსკვლავო ჩაფხუტი; წვივზე ჩამოშლილი ტოლაღები; ხელჭირი დაუბანელი აქვს.

რომ არც ჰკითხო მათ … არის, საიდანაა, რომელი … წილის, სად და … რისთვის … დის, შეიძლება თამამად ით… რომ ეს წითელი არმიის … რძოლი კი არაა, ეს … მტრების დამხმარე, და … შემწე. ასეთი წითელი არ… ლი არც მწყობრში, არც … ურნეო საქმეში, არც ბ… ლაში, არსად სარგებლობას … მოიტანს. ის მხოლოდ გ… გაუფუჭებს თავის ამხანა… და ზიანს მიაყენებს მათ.

ასეთ წითელ არმიელს … სად ვერ გაგზავნი, ვერაფ… ის შენ სწრაფად და წეს… ად ვერ გაგვიკეთებს. ას… წითელ არმიელი სავალალო … სამარცხვინოა მეთაურისა … იმ ნაწილისათვის, სადაც … მსახურობს და მაშასადამე … მარცხვინოა მთელი წით… არმიისათვის. ასეთ ამხანაგ… საქციელს სასტიკად უნდა … რძოლონ, როგორც ამხანაგ… ისე პოლიტ და მეთაურთა … მადგენლობამ. განსაკუთრ… ჩქარა შეუძლია ასეთი წით… არმიელის გამოსწორება თ… მეომრებს. ისინი იმყოფე… მასთან ერთად, ყოველ … მოაგონებენ მას თავის შეც… მებს და ამრიგად აღნიშნ… წითელ არმიელი, უსათუ… გამოსწორდება.

ი.

# 1904-5 წლები

## პირად მოგონებიდან

ზარების რეკვა მოედვა მთელ ქალაქს. შეიარაღებული მასა მიემართება ფერმისაკენ. საქმის ვითარება უმეტესობამ არ იცის. გავშორდი ქალაქს და დავინახე, რომ ეტლები მოდიან მოსახვევში. მე შეძახებით შევაჩერე ეტლები და შიდ აღმოჩნდენ ჩვენი ამხანაგები, რომლებსაც თან მოჰყავდათ ვიღაც მთვრალი გლეხი, ამ უკანასკნელს სიმთვრალის გამო გზა აბნეოდა და შემთხვევით მიდგომოდა იმ სახლს, სადაც წრეს კრება ქონოდა. ჩვენებს კი ეგონებოდათ, რომ ხულიგანები დაგვეცნენ. ხალხს გზა და გზა ვამშვიდებდით, რის შემდეგ ყველანი დაიშალენ. ქალაქში ზარების რეკვამ გამოიწვია ხმების გავრცელება სოფლებში, თითქოს დიდი ამბები მომხდარიყოს.

მეორე დილით ხონის და მის ახლომახლო რაიონებს შეეკრიბათ რამოდენიმე ასი შეიარაღებული წითელი რაზმელი და დაბანაკებულიყვნენ ქალაქის მახლობლათ. როდესაც ამათმა გაიგეს საქმის ვითარება, დაბრუნდენ თავიანთ სახლში.

ასეთ რევოლიუციონურ ენტუზიაზმის დროს მთავრობა ბევრ ხრიკებს მიმართავდა მშრომელი ხალხის მოსატყუილებლათ.

მისი უკანასკნელი ცდა კი იყო ცნობილი 17 ოკტომბრის ვიტეს (მინისტრი იყო) მანიფესტი.

პრესამ და არც ორგანიზაციებმა წინასწარ არაფერი იცოდენ მანიფესტის გამოქვეყნების შესახებ. მანიფესტის გამოცხადება მოულოდნელათ მოხდა.

ერთ დილით ამხანაგები თავს უყრიან ხალხს ქალაქის თვითმართველობასთან, სადაც მთავრობის წარმომადგენელის მიერ წაკითხულ იქნა მანიფესტის შინაარსი, რაც საშუალებას გვაძლევდა კრებების გამართვისა, პრესის თავისუფლება, ამნისტია და სხვა.

მანიფესტის წაკითხვის შემდეგ დემონსტრაცია გაემართო ბაღისაკენ და აქ გაიხსნა დიდი მიტინგი. მიტინგზე პირველათ ილაპარაკა ი. გომართელმა, შემდეგ მას მოყვენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. ამ დღიდან ბაღში ყოველ დღე მიტინგები იყო დანიშნული და უზომო ხალხი ესწრებოდა.

აღნიშნულ მანიფესტს ყველა პარტიები ეპოტინებოდენ და მისგან ბევრს მოელოდენ. მხოლოთ ბოლშევიკები მას აფასებდენ, როგორც ხალხის მოსატყუილებელ საშუალებას და მას ამხ. ბუდუ მდივანმა უწოდა „უხორცო ძვალი“.

მანიფესტის გამოცხადებამ პარტიების მუშაობას უფრო მეტი გასაქანი მისცა და ამდენხანს თუ ნახევრათ არა ლეგალურათ ხდებოდა მუშაობა, მანიფესტის შემდეგ პარტიებმა მიიღეს ლეგალიზაცია.

ამ დღიდან ქალაქებში და სოფლებში იწყება ათის თავების, ასის თავების და კომიტეტების შედგენა. აგრეთვე სოფლებში ხდება მამასახლისების ხელახალი გადარჩევა, დგება ხალხური სასამართლოები და სხვა. ერთი სიტყვით მთავრობის უფლებები იკვეცება და ხალხი თვითონ იწყებს ახალ მართველობის შემოღებას.

ქალაქში მიტინგები ეწყობა ჯარისკაცებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობს კ. ქარცივაძე.

ერთი სიტყვით ქუთაისი ამ დროს წარმოადგენს ცალკე რესპუბლიკას. ყველა პარტიებმა მოაწყვეს თავიანთი კლუბები, სადაც აწარმოებენ პარტიულ კრებებს, იწვევენ უპარტიო ათის თავების და ასის თავების კრებებს, იძენენ იარაღებს, აწყობენ წითელ რაზმელების ვარჯიშობას და სხვა. ამ დროს აფიცრობა და პოლიცია თვალს არიდებს მოძრაობას და თავის ფორმებში გამოწყობილი ქალაქში არ გამოდის, თითქოს მთავრობა აღარ არსებობს ხალხის თვალში. ჯარისკაცები და ყაზახები ყაზარმებში არიან და ხალხს ხელს არ უშლიან. რევოლ. პროპაგანდა სწარმოებს ჯარისკაცებში და ერთ ასეულ ყაზახებშიც.

ს. ლომიძე.

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მისალმება „წითელ არმიელს“ მისი მე-1000 ნომრის გამო.

ამხ. რედაქტორო!

როგორც ჩანს ჩვენი მისალოცი წერილი გაზ. „წითელ არმიელის“ მე-1000 №-რის გამოშვების გამო არ მიგიღიათ.

მე-6-ე ლეგიონის მე-3-მე ასეულის უფ-პოლიტშ მადგენლობა და წითელი არმიელები მხურვალეთ მოგესალმებათ 1000 ე №-რის გამოშვების გამო და გისურვებთ ისეთივე ენერგიით გაგეგრძლოთ მომავალში მუშაობა ქართული წითელი ჯარის გათვითცნობიერების საქმეში, როგორც წარსულში.

გაუმარჯოს გაზ. „წითელი არმიელს“ ჩვენი მხედრული სალამი მას!..

მონდობილობით ნ. ახათიანი.

## წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა თელავის მაზრაში.

ცხასტიკი ზომები მიღებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, მაგრამ მაზრაში საგრძნობი დამაფერხებელი მიზეზები არსებობს ამისათვის. სკოლების რიცხვი საკმაოდ მცირეა. პირველი იანვრიდან ... გახსნილია კიდევ 200-მდე ლიკვიდაციო სკოლის გახსნა ... თითქმის ყველა სოფელს ... თითო სკოლა. ჯერ... მდგომით მაზრაში გახსნილია ... სკოლა. ყველას აქვთ დამზადებული სამოსწავლო ნივთები ... ყავთ მასწავლებლები. ... ყველგან აქვთ სკოლები ... იანვრიდან წრეკუმის ... გადოება ხსნის აგრეთვე 30 ს და ცენტრიც კიდევ 30-ს. ზოგიერთ თემებში აღმასკომები ვერ უჩენენ საჭირო დახმარებას სალიკვიდაციო სკოლებს სათბობი მასალისა და განათების მოწყობაში. ამას გარდა დიდი აგიტაციის გაწევა გვიხდება თვით ხალხში რომ დავაჯეროთ, რომ უსწავლელი ის არ ვარგა ცხოვრებისათვის.

საერთოდ მაზრაში მიღებულია ამ მხრივ ყოველგვარი ზომები და მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა მალე წარმატებით დაგვირგვინდება ეს დიდი საქმე.

დ. ჭანკვეტაძე.

## გაგვიუმჯობესეს კვება.

... მესანგრეთა ასეული. ... წლიდ 6 დაწყებული ჩვენი ნაწილის სამნეო მდგომარეობა 1925 წ. აგვისტომდე ძლიერ ცუდათ იყო დაყენებული. ... სამნეო დარგის უფროსები გამოვიცვალეთ, მაგრამ ... არაფერი შველა. განსაკუთრებით ძლიერ მოიკოჭლებდა წითელ არმიელების კვების საქმე.

ბოლო ... ხანს ... დანიშნული ... ნაწილის ... უფროსი, სიმართლე უნდა ითქვას ნამდვილ მხსნელად მოგვევლინა. მოსვლისთანავე მთავარი ყურადღება წითელ არმიელების კვებას მიაქცია მან. შემდეგ ძირფესვიანად მოახდინა სამნეო საქმეების გადახალისება. ამავე დროს ამხ. მნე ძლიერ კარგ განწყობილებაშია წითელ არმიელებთან. იმედია არც მომავალში მოგვაკლებს ამხანაგი მნე თავის მზრუნველობას.

სამხედრო ფენიქსი.

## ლენკუთხის გამგე ზარმაცობს.

1 ლი ლეგ. მე 6-ხე ასეული.

კარანტინიდან ასეულში გადმოსვლის თანავე ლენ-კუთხის გამგეთ ამორჩეულ იქმნა საშუალო სწავლა დამთავრებული ამხ. რაზმაძე. ამ ხნის განმავლობაში სამწუხაროდ ამხანაგს ... ენერგია არ დაუხარჯავს ლენ-კუთხის გაუმჯობესებისათვის, პირიქით ხელს უშლის ასეულში მკითხველებს. არ ... თავის დროზე გაზეთები ლეგიონის ბიბლიოთეკიდან ... ში. ხშირია აგრეთვე ისეთი შემთხვევა, რომ სულ არ ... ანს გაზეთებს, მხოლოდ მისი უმთავრესი დანიშნულებას ... ადგენს სესხის სახით გამოსტყუოს ამხანაგებს გროში ... როს შვებულებაში დღე-ღამე. საჭიროა ამას მიექცეს ... ვანი ყურადღება და მისცენ ამხანაგს სათანადო გაფრთხილება.

რაზმაძე გამოსწორდი!

წ. ა. ქსენ-ტატი.

## ... ხედრო მეცადინეობა პოლიტ-შემადგენლობასთან.

1-ლი ლეგიონი.

... გიონში უკვე რამოდენიმე ... რაც დაწყებული იქნა ... დრო მეცადინეობა პოლიტ... შემადგენლობასთან, რაც ... ტებით მიმდინარეობს. ლეგიონის უფროსი დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს.

... მიერ დანიშნული იქნა ... ლევანელებით სამხედრო ... სპეციალისტები. პოლიტშემადგენლობა გულმოდგინეთ ეკიდება მეცადინეობას, რამაც უკვე კარგი შედეგები მოგვცა ამ თავითვე. მეცადინეობისათვის დანიშნულია ცალკე დღე და გამომუშავებულია სათანადო პროგრამა, რომელიც ტარდება სისტემატიურად. ამნაირად გასამხედროების საქმეს ყველა ყურადღებით ეკიდება ლეგიონში.

სამხედრო ს. იმნაიშვილი.

## რევოლუციონური ნათლობა

3-მე ლეგიონი.

9 იანვარს ლეგიონის ბატარეის ძალებით გამართული იქნა სადამო, რომლის დაწყებამდე მონათლული იქნა რევოლიუციონური წესით ლეგიონის პოლიტხელის ამხ. გოგიტიშვილის პატარა ვაჟი. მრავალი რევოლიუციონერის სახელი იქნა წამოყენებული და ბოლოს ხმის უმრავლესობით აირჩიეს ბავშვის სახელად არსენა.

პირველი სიტყვა ნათლობის შესახებ სთქვა პირველმა ნათლიამ, რომელმაც უსურვა პაწია მებრძოლი რევოლიუციონერად აღზრდა. სხვა ნათლიების გამოცვლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლეგ. მეთაური, რომელმაც ნაწილის სახელით დაასაჩუქრა ბავშვი და აღნიშნა ამ ნათლობის მნიშვნელობა.

საერთოდ ეს ნათლობა მთელი სადამოს ცენტრი შეიქნა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელებზე.

წ. არმ ბ. იოსელიანი.

## მომღერალთა წრე.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებამდე აღარ არსებობდა მომღერალთა წრე, რაც გამოწვეული იყო უმთავრესად ხელმძღვანელის უყოლობით. უკანასკნელად ყურადღება მიექცა ამ გარემოებას და შეეცადენ წრის ჩამოყალიბებას. იშოვეს ხელმძღვანელიც, მაგრამ სამწუხაროდ საგრძნობლად მოისუსტებს, მას აუცილებლად ესაჭიროება დამხმარე. კარგი იქნება, რომ კლუბის გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და იშოვიდეს ხელმძღვანელისათვის დამხმარე ამხანაგს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მისი ისე დაშლა.

წრე ამჟამად აერთიანებს 44 კაცამდე.

სამხედრო ა. მინადორაშვილი.



სახკორი ამხ. გაგუა.

## სამხედრო საქმე გვაინტერესებს.

3-მე ლეგ. ბატარეია.

ახალგაზრდა არმიელები, დიდი ხანია რაც სამხედრო იარაღის შესწავლას შეუდგით.

ჩვენი მეთაურები გულდასმით ახსნამ და სწავლებამ ძლიერ შეგვაყვარა სამხედრო საქმე. ხშირად ვეჯიბრებით ერთმანეთს ცოდნაში. ვაძლევთ ერთი მეორეს შეკითხვებს და ვიძლევით პასუხებს. ამ დროს ყოველთვის ჩვენთან არიან მეთაურები და გვაყურებენ, თუ რაიმე შეცდომა დაუშვით გვასწორებენ. მადლობის ღირსი არიან ჩვენი უფროსები, რომლებიც მხარში გვიდგანან და ამხანაგურად გვასწავლიან ყველაფერს.

წ. არმ. ი. ვადაჭკორია

## მუშაობა ცოცხლად მიმდინარეობს.

2-რე ლეგიონი.

ლეგიონის ყველა ასეულებში მწყობრად მიმდინარეობს მეცადინეობა ყოველ დარგში. ახლად მოსულ არმიელებმა უკვე შეისწავლეს მწყობრში სიარული, სხვა და სხვა მგზავრული სიმღერები, ჩაებენ საკლუბო მუშაობაში და სხვა. საუცხოვო სანახავია ლეგიონი დილის ამოკითხვის შემდეგ, როდესაც სასეირნოდ გამოსული წითელარმიელები მკვირცხლად მიაბიჯებენ და თან დასძახიან სიმღერებს. არ ყოფილა ლეგიონში ჯერ დეზერტირობის არც ერთი შემთხვევა.

სამხკორი ვ—ძე.

## კარგად მოვაწყვეთ ლენინისა და სამხედრო კუთხეები.

ხარაგოულის წერტზე მეცადინეობა დაიწყო პირველ დეკემბერს.

წვევამდელები ყველა შეგნებულად შეხვდა ამ წინასწარ მომზადებას. დეზერტირობას ადგილი არ აქვს.

წერტისათვის მიჩნეული შენობა პირველ ხანებში შეუკეთებელი იყო, მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა. შეკეთებულ იქნა შენობა და სამეცადინო ოთახები.

ხაზ გასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეთაურებიც დიდ მუყაითად ეკიდებიან მეცადინეობის საქმეს.

წერა კითხვის უცოდინართა რიცხვი აღწევს 25 პროც. უკვე მიღებულია ზომები და მათი მეცადინეობა დაიწყო 5 დეკემბრიდან. კომკავშირის რიცხვი არის 30 პროც. 3 დეკემბერს ჩამოყალიბდა ბიუროს კოლექტივი. კ. კ. წევრები დიდ მუყაითობას იჩენენ და ყოველგვარ დავალებებს ასრულებენ პირნათლად.

გვაქვს ლენინის და სამხედრო კუთხე შეძლებისდაგვარად მოწყობილი.

31 დეკემბერს ხარაგოულში ჩავატარედ წარმოდგენა, სადაც ჩვენი წვევამდელები ღებულობენ მონაწილეობას. შემოსავალი მოვახმარედ წერტზე კუთხეების კარგად მოწყობას.

წვევამდელი თ. ტაბ—ძე.

## წვევამდე მზადების შედეგები.

### გამოცდა კარგად ჩააბარეს.

4-ხე ლეგ. 5-თე ასეული.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ასეულის წვევამდელთა წერტი ინახულა ჩვენი ათასეულის სამხედრო კომისარმა, რომელიც დაესწრო წვევამდელთა მეცადინეობას და შემდეგ კი გაგვიკეთა მოხსენება წვევამდელთა წინასწარ მომზადების მნიშვნელობის შესახებ. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგებში და მრავალი შეკითხვებიც მისცეს ამხანაგს.

ბოლოს ასეულის კომისარის თანდასწრებით მოვახდინეთ წვევამდელთა საცდელი გამოცდა. თითეულ შეკითხვაზე ამხანაგები თამამად იძლეოდენ სწორ პასუხს.

გამოცდის შემდეგ კომისარმა ინახულა წვევამდელების საცხოვრებელი შენობა. ოთახის მოწყობილობამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგზე. ათასეულის კომისარმა ამის შემდეგ ინახულა აგრეთვე ქვაცხის წერტი. აქაც ყველაფერი თავის რიგზე დაუხვდა მას.

მეთ. ხიტირია.

## გამოცდებმა კარგი შედეგები მოგვცა.

7 იანვარს ლეგიონის კლუბში შესდგა ლეგიონის წ. არმიელთა, უფ-პოლიტშემადგენლობის და წვევამდელების, საზეიმო კრება უკანასკნელებთან მეცადინეობის დამთავრების გამო.

სხდომას თავმჯდომარეობდა წვევამდელი ნინოშვილი.

„საბჭოთა არჩევნებზე“ მოხსენება გააკეთა ამხ. ადამიამ, რომელსაც აუარებელი შეკითხვები მისცეს.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ლეგ-მეთაური ამხ. გელოვანი, პარტ-ბიუროს მდივანი ტაბუცაძე და ორი წვევამდელი. პირველები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდენ წვევამდელთა მოვალეობის შესახებ სოფლად, ხოლო უკანასკნელები ფიცს სდებდენ მათზე დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულების შესახებ.

მიუხედავათ მთელი რიგი დაბრკოლებისა: გლახაგზები, უამინდობა, სიშორე და სხვა. წვევამდელების 90 პროც. კარგათ ჩააბარეს გამოცდები, როგორც პოლიტიკურ ისე სამხედრო საქმეში.

სუსტი ამხანაგები დატოვებულ იქნენ სამეცადინოთ.

საერთოდ მთელი წვევამდელთა შემადგენლობა გულმოდგინეთ მეცადინეობდა.

სხდომის შემდეგ გაშვებულ იქმნა წარმოდგენა, უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

წვევამდელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სადამომ.

სამხკორი შურდული.

## ნაყოფიერად დავასრულებთ მუშაობას.

ალავერდის წერტი.

ჩვენს წერტზე მეცადინეობა დაიწყო თავის დროზე. წერტი ქ. ზესტაფონზე დაცილებულია 5 ვერსით. მუშობა პირველ ხანებში ვერ იყო სათანადო დონეზე დაყენებული, რადგან არ ქონდა წერტს ყოველი ის რაც აუცილებლობას წარმოადგენდა მისთვის. შემდეგში მიღებულ იქნა საჭირო ზომები და ეს ნაკლი გამოსწორდა მივიღეთ წერტზე საჭირო ნივთები, მოვაწყვეთ ლენინისა და სამხედრო კუთხეები, სადაც დაწყებულ იქნა მეცადინეობა.

წერტზე მოგვდის მხოლოდ გაზ. „წითელი არმიელი“ და ისიც ძლიერ დაგვიანებით.

დიდ დახმარებას გვიწევს ხსენებულ სოფელში არსებული კომუნა. ის გვეხმარება ჩვენ სხვა და სხვა გაზეთების მიწოდებით და სხ.

წერტზე მეცადინეობის დაწყებისთანავე ჩამოვაყალიბეთ კომკავშირის კოლექტივი, რომელმაც ყველა კომკავშირელი ჩააბა წერტის საერთო საქმიანობაში. სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე. წერტზე დეზერტირობას მწვევამდელთა შორის ადგილი არა აქვს და ყოველ მეცადინეობაზე ახალგაზრდები უკლებლად ცხადდებიან.

დაბოლოოს მინდა აღვნიშნო, რომ ამ სოფლის კომუნას სათანადო ორგანიზაციების მიერ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რაც კომუნის წევრებს შორის იწვევს უკმაყოფილებას. საჭიროა ეს ნაკლი გამოსწორდეს მომავალში.

ი. დვალიშვილი.

## სასადილოში დიდი უწესრიგობაა.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონს აქვს სასადილო, მაგრამ რომ არ იყოს ის სჯობს. არავითარი წესი შიგ არ არსებობს. არ იცი სადილობის დროს როდის მოგხვდება ძვალი ან პურის ნაჭერი თავში. თითქოს ქორწილი იყოს ისე იქცევიან. სისუფთავეზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

დროა ამხანაგებმა შეიგნონ სასადილოს დანიშნულება და დაიცვან წესრიგი. კარგი სროლის შესასწავლად სხვა ადგილი არსებობს. სასადილოში ამისთვის ვარჯიში არ გამოდგება.

წ. არმ. კ. ტაბატაძე.

# სამხკორის კუთხე

## გადაუდებელი ამოცანა.

ერთ-ერთი სამხკორი გვწერს შემდეგს: „ჩემის აზრით ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელში“ აუცილებლად უნდა იწერებოდეს შეფასებები ნაწილების კედლის გაზეთების შესახებ. ამ საშუალებით გამოსწორდება კედგაზეთის ცუდი მხარეები და მუშაობაც წავა სწორი გზით“.

სამხკორის ეს შენიშვნა სრულიად მართალია. ჩვენ მივესალმებით სამხკორის ასეთ სურვილს. მართლადაც, ეს საკითხი ამდენხანს არ იყო ისე მოგვარებული, როგორც საჭიროა. ამ საქმის მოგვარება კი დამოკიდებულია ადგილებზე მომუშავე სამხკორებისაგან. დღეიდან ჩვენი გაზეთის რედაქცია მოგიწოდებთ ნაწილების სამხკორებს, სამხკორ ორგანიზატორებს და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიებს:

სისტემატიურად გამოგვიგზავნოთ რედაქციაში ნომრები კედლის გაზეთებისა სათანადო შეფასების მიცემისათვის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რის შემდეგ თქვენი გაზეთები გამოგეგზავნებათ კვლავ უკანვე.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილებზე აღმოჩნდებიან პირები (ასეთები ჩვენს ნაწილებში მრავალია), რომელთაც კარგად ეცოდინებათ კედლის გაზეთის საქმე, მაშინ კედგაზეთების შეფასებები უნდა დაიწეროს ადგილებზე და შეფასების წერილები გამოეგზავნოს ჩვენს რედაქციას გაზეთში დასაბეჭდად.

თუ გვსურს გავაუმჯობესოთ კედლის გაზეთების გამოცემის საქმე ნაწილებში და ამ გაზეთების ყოველი ნაკლი გამოსწორდეს, მაშინ სამხკორებმა არ უნდა დაივიწყონ აქ აღნიშნული დებულება, და სისტემატიურად მოგვაწოდონ ნაწილებში გამოცემული კედლის გაზეთების ნომრები ან მათი შესახები შეფასებები.

რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ ადგილებზე მომუშავე სამხკორები, სამხკორორგანიზატორები და კედგაზეთების სარედკოლეგიები სისწორით და დაჩქარებით შეასრულებენ ამ გადაუდებელ ამოცანას.

მი.

## ბიბლიოგრაფია

**მიხ. აბრამიშვილი. ძველი ქართული თეატრი. ტ. „მეცნიერება საქართვ.“ 1925 წ. გვ. 41+25.**

ზემოდასახელებული წიგნი წარმოადგენს ძველი ქართული თეატრის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. საერთოდ ქართული თეატრის წარსული უკანასკნელ ხანამდე ბურუსით იყო მოცული და მისი არსებობის დასაწყისათ გასული საუკუნის მეორე ნახევარს, ე. წ. ვორონცოვის ხანას თვლიდენ. ნამდვილად კი, როგორც უკანასკნელ დროის გამოკვლევებიდანა სჩანს, მისი დასაწყისი გაცილებით უფრო ადრე უნდა ვეძებოთ. აბრამიშვილის წიგნაკი—სწორეთ ამ მიზანს ისახავს და ქართული თეატრის დასაწყისათ ჩვენ ძველ ხალხურ თამაშობებს, როგორიც იყო მაგ. ბერიკაობა, ყეენობა, მუშაითობა, ყაბახობა და ბურთაობას უკავშირებს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მოცემული მასალა საკმაო სიძლიერით ვერ არის გადამუშავებული და სახელდახელოთ შეკრიბილ ცნობათა გამოქვეყნებას გავს. ამ წიგნაკში. მიუხედავათ იმისა, რომ იგი მთლიანათ ერთ, განსაზღვრულ თემის ირგვლივ ტრიალებს თითქმის არაფერი ან ძალიან ცოტა დამატებითაა გადმოცემული ქართული დრამის შესახებ ის, რაც პროფ. კეკელიძის „ქართ. ლიტერატურის ისტორია“, მეორე ტომის უკანასკნელ ნაწილშია მოხსენებული ამავე საკითხზე.

ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს არ არის მოკლებული, როგორც პირველი ქართული დრამატიული ნაწარმოების გამოქვეყნება—დ. ჩოლოყაშვილის დრამის „ეფილენია“-სა და ბალიშვილის „უბნობა მკვდართა“. აქვეა ალ. ჭავჭავაძის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნ „სინნა“-ს პირველი მოქმედების ნაწყვეტი.

წიგნი ვერ არის იმ შინაარსით გამოცემული, როგორც დაპირებული იყო.

კარგი იქნებოდა ქართული თეატრის „გაევროპიელების“ ხანაზედაც ყოფილიყო მოხსენებული რაიმე.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს შრომა შედარებით აკადემიური ხასიათისაა, მაინც კარგია სკოლების ბიბლიოთეკებისათვის, სადაც დრამატიულ წრეების მეცადინეობას უფრო ყურად ღებით ეკიდებიან და ცდილობენ მარტო პრაქტიკული ნაბიჯებით არ დაკმაყოფილდენ.

ღირს ერთი მანეთი.

გრ. შავკულიძე.

## არა გვაქვს შაქარი.

### ცხენ. ლეგიონი.

აგერ სამი დღე სრულდება რაც წითელ არმიელებს შაქარი არ გვაქვს და მარტო ცხელ წყალში გვიხდება პურის ჩალობობა. ბევრი მშიერიც რჩება ამის გამო.

ვინ არის დამნაშავე ამაში არ ვიცით. უმთავრესად სამეურნეო ორგანოების დაუდევრობა უფრო აშკარავდება ამაში.

ასეთი შემთხვევა პირველი არ არის ჩვენთან. ის რამდენიმეჯერ განმეორდა. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

დროა მოეღოს ბოლო ასეთ დაუდევრობას.

სამხკორი პ. ნ—ლი.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ 6 თვით და ვიწვევ ექვსი თვით გამოწერაზე შემდეგ ამხანაგებს მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონიდან:

1. მოზდოკელს, 2. წივწივაძე, 3. ჯაფარიძე ვიქტორი, 4. ჭავჭანიძე, 5. მეგევიძე, 6. ზაუტაშვილი, 7. გუგუნავა, 8. ვ. ლორთქიფანიძე, 9. თაბუკაშვილი, 10. ჭანკვეტაძე, 11. არაქელოვი, 12. ასათიანი, 13. თორაძე, 14. გოგაძე, 15. ნარიმანიძე, 16, გვასალია, 17. კანდელაკი, 18. ჯანელიძე, 19. გიორგაძე, 20. ხუციშვილი, 21. გიგინეიშვილი 22. დანელიას.

1-ლ ლეგიონიდან: ბერიძეს და ნარიმანიძეს.

5-თე ლეგიონიდან: თოდუას.

მე-6 ლეგიონის უმწყობრო ასეულის თავს ხირსელს.

გ. ბერიაშვილი.

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ 1-ლ თებერვლიდან ორი თვით, ორ ეკზემპლიარს 1-ლი ლეგიონის 9-რე ასეულისათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

1-ლი ლეგიონიდან:

ს. იმნაიშვილს, პირველი ასეულის თავს ამხ. ერაძეს, სამნეო ნაწილის უფრ. საქმის მწარმოებელს ამხ. აკაკი რამიშვილს, სამწყობრო ნაწილის უფრ. საქმის მწარმოებელს ამხ. ჟორა ბაგდასაროვს, ლეგ. იარაღის გამგეს ამხ. სპირიდონ გოქსაძეს, ლეგ. სკოლის უფროსის თანაშემწეს ივ. გრძელიშვილს, სკოლის უფროსს ძიქელაძეს, ლეგ. შტაბის უფროსის თანაშემწეს შონიას, 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის პოლიტხელმძღვანელს არშაკ მურადოვს, 3-მე ლეგ. პოლიტხელს ხომიზურს, 3-მე ლეგ. 2-რე ას. თავს სტეფან პაპიაშვილს, 9-რე ასეულის ათისთავს სოლომონ წიკლაურს; 2-რე ლეგიონიდან 2-რე ასეულის ათისთავს შალიკო კაკაბაძეს და ამავე ლეგ. 9-რე ასეულის ათისთავს გრ. ბიბირულიძეს.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

## ახალი ამბავი.

### ხელოვნება

— **კონცერტები მუშებისათვის.** ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება ახლო ხანში მოაწყობს მუშათა უბნებში სიმფონიურ კონცერტებს.

— **ახალი სურათი.** ახალი კინო-სურათის „ვინ არის დამნაშავეს“ ჩვენება დაიწყება 19 იანვრიდან.

— **საბავშო თეატრი.** განათლების კომისარიატი იმუშავებს საბავშო თეატრის დაარსების გეგმას.

— **თარხნიშვილის გუნდი.** ახლო ხანში წითელ თეატრში გაიმართება მარო თარხნიშვილის გუნდის კონცერტი.

## უცხოეთის არმიებში

**მეთაურთა უმცროსი შემადგენლობა გერმანიის არმიაში.**

ვერსალის „სამშვიდობო“ ხელშეკრულების ძალით, გერმანეთის არმია მეტის მეტად იქნა შემცირებული, სხვა ევროპის სახელმწიფოების არმიებთან შედარებით (100.000 კაცი).

ამის გამო გერმანიის სამხედრო უწყება ყოველ ღონისძიებას მიმართავს, რათა რეიხსვერისაგან (არმიაა) შექმნას მჭიდროდ შეკავშირებული მუშტი, ძლიერი გული, კადრი „მომავალ ძლიერ გერმანიის არმიისათვის“. ამას ისინი აღწევენ როგორც ჯარისკაცების ისე უმცროს შემადგენლობის მეთაურთა თანდათანობითი და საფუძვლიანი მომზადებით.

უნტერ ოფიცრების მოსამზადებელი სპეციალური სასწავლებელი გერმანეთის არმიაში არ არსებობს. მოხალისეები (გერმანეთის არმია მოხალისეებისაგან შესდგება, სამსახურის საერთო ვადა უდრის 12 წელს). მას ვისაც სურს არმიაში აღნიშნულ თანამდებობაზე—უნტერაფიცრებად დარჩენა, თუ ისინი თვისი მომზადებით, ხასიათით და სხვა აუცილებელ თვისებებით შეეფერებიან ამ თანამდებობას, შეუძლიათ 3-მი წლის შემდეგ ჩააბარონ გამოცდა უნტეროფიცრის თანაშემწის თანამდებობაზე. ამით აღწევენ მათ შესაფერ გადარჩევის საქმეს.

გამოცდები ინიშნება 2-ჯერ წელიწადში. გამოცდებმა უნდა გამოაშკარაოს, თუ რამდენად შეითვისა კანდიდატმა სამხედრო სამსახური სამი წლის განმავლობაში და ივარგებს თუ არა ის მეთაურათ და მასწავლებლად ჯარში. ყველა მას ვისაც სურს ამნაირად გამოცდის დაჭერა უნდა ითვლებოდენ პირველ ხარისხოვან მსროლელებად.

მოხალისეები, რომლებიც დაიჭერენ გამოცდებს, ჩაირიცხებიან უნტერაფიცრების კანდიდატებად და თავისუფალი ადგილის შემთხვევებში ინიშნებიან ეფრეიტორებათ. უნტერ აფიცრებათ დაინიშნებიან ისინი მხოლოდ 4-ხი წლის სამსახურის შემდეგ.

უნტეროფიცრები კი 2—წლის სამსახურის შემდეგ შეიძლება დანიშნული იქნენ უმცროს ფელდფებლებად, ხოლო 4-ხი წლის შემდეგ კი ვახმისტრებად. გამოცდებზე ჩაჭრილებს, შეუძლიათ გამოცდილი იყვნენ ნახევარი წლის შემდეგ.

უფროს ფელდფებლებად ინიშნებიან უფრო მცოდნე და გამოცდილი უნტეროფიცრები, მხოლოდ უნტეროფიცრებად 3-მი წლის სამსახურის შემდეგ.

სამსახურის ასეთი ხანგრძლივი ვადა ერთი მხრივ ხელს უწყობს უმცროს მეთაურთა საფუძვლიანად მომზადების საქმეს, მეორე მხრივ კი, ვერსალის ხელშეკრულებით ნაკარნახევი ეს მომზადების ხანგრძლივი პერიოდი მექანიკურად ასრულებინებს გერმანელებს მათ მოვალეობას.

უდავოა, რომ გერმანელები ყოველი შემთხვევის დროს ეცდებიან შეამცირონ სამსახურის ვადა და რაც შეიძლება მეტი უნტეროფიცრები მოამზადონ მომავალ საჭიროებისათვის.

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. ძაბახიძეს—(2-რე ლეგ.)** ხშირად მოგვაწოდეთ წერილები.

**ამხ. გუბის წყლის პირელს—(ცხენ ლეგ.)** თქვენი წერილები „საჭირო ყურადღება“ და „კარგი იქნება ზომების მიღება“ გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. პ. ნადარეიშვილს—(ცხენ. ლეგ.)** თქვენი წერილი მასალმება, არ დაიბეჭდება. ერთხელ მოთავსებული იყო ასეთი ჩვენს გაზეთში.

**ამხ. კლასძირელს—(2 რე ლეგ.)** თქვენი კორესპონდენცია „მოგვაქციეთ ყურადღება“ არ გამოდგა. შიგ არაფერია ნათქვამი.

**ამხ. ი. ჩ.—(2-რე ლეგ.)** თქვენი წერილები: „ნაკლი“ [illegible] მოგვაქციეთ ყურადღება“ არ დაიბეჭდე[illegible] მოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთშ[illegible] იყო, მეორედ არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმ[illegible]

ქართულ გაერთ. სამხ.სკოლის მე-2-რ[illegible] შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტი[illegible] გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1.[illegible] ტის (გლეხი, კომ-კავშირის წევრი 1921 წ.)[illegible] რიანეს (გლეხი, ახ. ლ. კ. კ. წევრი 1921 წ[illegible] რაძე კირილეს (გლეხი, უპარტიო).

თუ ვინმემ რამე იცის ზემო აღნიშ[illegible] უარყოფითი მხარეების შესახებ გთხოვთ გვ[illegible] ვიანეს ათი დღისა.

სკოლის კომ-უჯრედი[illegible]

ქართულ სამხედრო პოლიტ სკოლის[illegible] მოტანილი აქვს განცხადება ა. ლ. კ. კავშ[illegible] კ. პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ [illegible] ძოპ მიხეილის ძეს (მორაპნის მაზრის სოფ.[illegible]

გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწ[illegible] აღნიშნულ ამხ. მიღების შესახებ, გვაცნობ[illegible] განმავლობაში.

კომ-უჯრედის პ. მ. მდ. ხუხუა.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება წ. მოლ. ხაჩიკ არუთინის ძე თაკიმოვს პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მის შესახებ, გთხოვთ აცნობოთ 1-ლ ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. ღ. ს. ც.
სამხედროსტამბა კეცხოველის ქ № 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე